სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

13000762322219

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190582037

რეგისტრაციის თარიღი

23.05.2019 წ

ნოტარიუსი: დავით ფუტკარაძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი #95
ტელეფონი: (+995 32) 2 111 406

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდასამ მაისს, მე, დავით ფუტკარაძემ საქართველოს ნოტარიუსმა, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #95, ჩემი, შევასრულე სანოტარო მოქმედება (მინდობილობის დამოწმება). ქალბატონი თეონა ჩოკოლაშვილის, (დაბად. 16.05.1988, მისამართი: თბილისი, საირმის ქუჩა, კორპუსი 2, ბინა 10, პ/ნ № **08001014025**; პ/მ 16IB30829.) თხოვნით. მან განმიცხადა, რომ სურს მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თეონა ჩოკოლაშვილმა, მომმართა, მანვე განაცხადა, რომ არის შპს ენჯი და კომპანია-ს საიდენტიფიკაციო ნომერი: **400142573** დირექტორი. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება (დგინდება ამონაწერიდან სამეწარმეო რეესტრიდან), შევამოწმე წესდება განთავსებული სამეწარმეო რეესტრის შესაბამის ინტერნეტ გვერდზე, შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც პირადად წაიკითხა თეონა ჩოკოლაშვილმა, და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილის და ჩემი თანდასწრებით, პირადა, მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, თეონა ჩოკოლაშვილმა, (პ/ნ № **08001014025**), შპს ენჯი და კომპანია-ს (ს/კ:**400142573**), დირექტორმა, ამ მინდობილობით, ბატონ ზაზა ოხანაშვილს, (დაბად. 21.01.1969. მისამართი: თბილისი ს.ქურდიანის ქ. **N 39**, პ/ნ № **01030043420**, პ/მ 13IF39058), მინდობილ შემდეგი უფლებამოსილებანი: ზაზა ოხანაშვილი, უფლებამოსილია: იყოს ჩემი, როგორც ამ საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის: საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, პატრულში, ქ. თბილისის მერიაში და მის ყველა სამსახურში (მათ შორის არქიტექტურის სამსახური და ურბანული დაგეგმარების სამსახურში), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (გამგეობებში), საკრებულოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნოტარიუსთან და სხვა ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებებში. ის უფლებამოსილია ჩემი სახელით შეაგროვოს დოკუმენტები, შეიტანოს განცხადებები, განაცხადოს თანხმობა ჩემი სახელით ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მიიღოს დოკუმენტები, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, აწარმოოს საპროექტო დოკუმენტაცია ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს არქიტექტურული პროექტი, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად, იმოქმედოს პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, მიიღოს დოკუმენტები, მოწმობები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც საჭირო გახდება: უძრავ ნივთ(ებ)ზე, მდებარე ნებისმიერ მისამართზე, არქიტექტურულ საპროექტო სამუშაოებთან (ნებართვის აღება, განხილვაზე დასწრება, პროექტის დამტკიცება და სხვა), შენობების რეკონსტრუქციის პროექტის მომზადება-დამტკიცებასთან, ექსპლოატაციაში მიღებასთან, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენასთან, აგრეთვე საჯარო რეესტრში უფლებების რეგისტრაციასთან, ხარვეზის აღმოფხვრასთან, რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილებების რეგისტრაციასთან, ფართების დაზუსტებასთან და სხვა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.

მინდობილობა ძალაშია 2020 (ორი ათას ოცი) წლის 23 (ოცდასამი) მაისის ჩათვლით. გაცემულია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ფუტკარაძის სანოტარო ბიუროში (თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან), ხოლო დანარჩენი გადაეცა თეონა ჩოკოლაშვილს გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის სესაბამისად დღგ 1.80 ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი.

ხელისმოწერა თეონა ჩოკოლაშვილი თეონა ჩოკოლაშვილი

ნოტარიუსი დავით ფუტკარაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: 68-0119140479
თარიღი: 20/05/2019
პინი: 8205

ადრესატი: შპს „ენგი და კომპანია"-ს დირექტორი თეონა ჩიკვილაძე
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ხაიშის ქუჩა, კორპუსი 2, ბინა 10

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალბატონო თეონა,

გიგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 14 მაისის №568 ბრძანების აღსრულების მიზნით გამოცემულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 17 მაისის №4505539 შუალედურ გადაწყვეტილებას.

დანართი: 3(სამი) ფურცელი

თამარ გვირიანი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსის მოადგილე (სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 4516015

გაცემის თარიღი: 24/05/2019

გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1682098
შემოსვლის თარიღი: 17/05/2019
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საგადასტრო კოდი: 01.12.21.001.200
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N 18
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3324.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს ენჯი და კომპანია (400142573)

- საგადასტრო კოდი: 01.12.21.001.201
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა N 18ა
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3000.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ენჯი და კომპანია" (400142573)

ნომენკლატურა :

- **სახტუმრო**
- **IV კლასი**
- **ვადაგაუსვლელი**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

აღსრულების საკითხია

სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: არსებული შენობა- ნაგებობის რეკონსტრუქცია (სასტუმრო, რესტორანი, კაფე, გამაჯანსაღებელი ცენტრი);
- .მთავარი არქიტექტორის სპეციალისტი სახელი და გვარი.: რამაზ მიქაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "ენჯიდაკომპანია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400142573

დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს. "ენჯიდაკომპანია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400142573
- დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეონა ჩოკოლაშვილი
- დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 08001014025

მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება № 3737785
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 20.12.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ბრძანება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის (ვიცე-მერი) 2019 წლის 14 მაისის N568 ბრძანების აღსრულების მიზნით, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა გამოკვლევის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს 2019 წლის 12 აპრილის NAR1674059 ელექტრონული განცხადება.

2. შეცვდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №2659790 (21.06.2016) ბრძანებაში: ბრძანების მე-3 პუნქტში ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 20 აპრილის ჩათვლით". შეიცვალოს ჩანაწერით ***"მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით"***.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ***№2659790 (21.06.2016)*** და ***№3737785 (20.12.2017)*** ბრძანებებთან ერთად.

- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, გ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მოხვიდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი